ტფილისი

№ 7
იანვრის ,10 პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

№ 7
იანვრის 10, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი ,,ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
აქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ხღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—74)

ექიმი

ვ. ი. ინაშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგანის სნეულებით შეპყრობილს, განსაკუთრებით გულისა და ნერვებით სუსტებს. დილის 10 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5-დან—7 საათამდე, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 6.

(10—2—6)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ.

წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

№ 29. ტელეფონი № 176

ქართული თეატრი

კვირას, 12 იანვარს, 1902 წ.

იაფ-ფასიანი დილის წარმოდგენა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ
წარმოდგენილი იქნება

I

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 5 მოქ. შექსპირისა, თარგ კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„მელანიას ოინები** ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობასი.
ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
მ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
მ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით **და** პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით' კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

სიტყვა

შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევესი.

პეტერბურგში შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობის ასის წლის იუბილეი იდღესასწაულეს. ამ დღესასწაულზედ შინაგან-საქმეთა მინისტრმა, სხვათა შორის, სთქვა. შემდეგი:

„ერის ძალ-ღონე საარაკოდ იზრდება. ეს ზრდა შედეგია საზოგადო ცხოვრების რეფორმებისა. ადმინისტრაციის მოქმედება მეტად გართულდა ამის გამო. ცხოვრება თანდათან უფრო მეტს ითხოვს ადმინისტრაციისაგან. ამის გამო საჭიროა, ვიზრუნოთ, რომ სხვა-და-სხვა ხერხი და ღონისძიება მართვა-გამგეობისა განვაკარგოთ, განვაუმჯობესოთ.

„ხელმწიფის ბრძანებით, უკვე აღნიშნულია, რა გზას უნდა დავადგეთ ამ განკარგებისათვის.

„ახლა იმის მოსაზრებაში ვართ, თუ, როგორ იქმნას შეცვლილი საგუბერნიო დაწესებულებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში. უნდა განვაძლიეროთ უფლება გამგებლობისა ადგილობრივ, მაგრამ თან უნდა გავამარტივოთ წესი მოქმედებისა, რათა მცხოვრებელთა ინტერესები უფრო მეტის მოხერხებით იქმნას დაცული და უზრუნველი.

„განზრახვა გვაქვს, რომ მალე დავაწესოთ სამინისტროში ბჭობა-თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მისაღებად მოწოდებულნი იქმნებიან ადგილობრივის მართვა-გამგეობის კაცნი. ბჭობა-თათბირი შეეხება ერის გამოკვების საქმეს. აგრეთვე იმ სხვა საქმეებსაც, რომელსაც უკავშირდება სოფლის საჭიროებანი, სოფლის ჭირი და ლხენა. ბჭობა-თათბირმა უნდა გამოარკვიოს, რა ღონის-ძიებით შეიძლება უკედ შეექსოვოს და შეეთანხმოს ერთმანერთს საადმინისტრაციო და საზოგადო მოღვაწეობა; რა ღონისძიებით შეიძლება, რომ უფრო გარკვეული ურთიერთობა სუფევდეს ამ ორ-გვარ მოღვაწეობის შორის, რომ უფრო მხნედ იღებდნენ მონაწილეობას ადგილობრივნი მოღვაწენი ადგილობრივს მართვა-გამგეობის საქმეში.

„მაგრამ ყველაზედ მეტად საზრუნავად უნდა მივიჩნიოთ ის, რაც კურსკში გვაუწყა ხელმწიფე იმპერატორმა, ესე იგი მოწესრიგება საგლეხო საქმეთა და გარდაწყვეტა სოფლის ყოფა-ცხოვრების რთულ და ძნელ საგნებისა. მეტის-მეტი აჩქარება და დაქადება იქნებოდა, რომ ვიფიქროთ, შინაგან-საქმეთა სამინისტრო მარტოოდენ თვისის ძალ-ღონით გაუძღვება ყოველ ამ საქმეს და საზრუნავსთ. სამინისტროს უნდა მხოლოდ თვისი

დვაწლიც შეიტანოს ქვეყნის ყველა შემოქმედ სუ-
ლიერ ძალთა სალაროში. ჩვენი ასეთი სურვილი
შეესაბამება საქმეთა ნამდვილს ვითარებასაც.
„ერთმა საქმემ, „რუსეთის საშინა-წყობის პოლი-
ტიკისამ, სახელდობრ გადასახლებისამ,—უკვე მი-
იღო სწორე მიმართულება, რადგან ეს საქმე
მიჩნეულ იქმნა სახელმწიფოს მოწყობისა და ამე-
ნების საქმედ. საჭიროა ამავე გზით ვიაროთ გვლა-
გაც.
"ჩვენ იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ ცალკე
ბჭობის მსჯელობანი სასოფლო სამეურნეო მრე-
წველობის საჭიროებათა შესახებ ბევრ-გვარ ბერ-
ძოობას გაარკვევს საგლეხო საქმისას.
„დასასრულ, სულ ამ მცირე ხნის წინად, იქმნა
გამოცხადებული სურვილი მონარქისა, რომ გლეხ-
თა საქმის მოწყობ-რიგებაში მონაწილეობა მიიღონ,
როგორც 1861 წელს, როცა შესდგა გლეხთა დე
ბულება, მოწოდებულ იქმნან ის მოღვაწენიც,
რომელთაც გამოცდილებით შეუძენიათ ცოდნა
სოფლის ყოფა-ცხოვრებისა.
,,ამ სახით, ჩვენის უწყების არსებობის მეო
რე საუკუნის სამზღვარზედ, თვალ-წინ გვიდგ
უთვალად რთული და გადასასწყვეტად ძნელი საქ
მენი, რომელიც მრავალ-გვარად გვაღელვებს და
უნებლიედ ჰბადავს ჩვენს გულში ეჭვს, შევძლებთ
თუ არა ამ საქმეთა სასურველად გადაწყვეტას,
გულს გვიმაგრებს მხოლოდ შეურყეველი რწმენა,
რომ ღვთის განგება რუსეთისათვის კეთილი
მომქმედი, აკურთხებს იმ საქმეს, რომელიც ჩვე
ნის ქვეყნის სასარგებლოდ გვინდა ვიტვირთოთ..

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ჩვენ წავიკითხეთ ვრცელი წერილი ბ-
იაკობ გოგებაშვილისა ამ სათაურით: „რო
გორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიაში სახალ
ხო სკოლა“. ეს წერილი ამ დღეებში გაიგ
ზავნება დასაბეჭდად რუსეთში. რადგან ე
საგანი ამ ჟამად დიდად საინტერესოა და სა
გულისხმო საზოგადოებისა და მთავრობისა
თვის, ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოკ
ლედ გავაცნოთ შინაარსი ამ წერილისა ჩვენ
მკითხველებს. თავდაპირველად წერილის ავ
ტორი აღნიშნავს, რომ სახალხო სკოლა ყვე
ლა სხვა ქვეყანაში ხალხს ამაღლებდა გონებ
რივად, ზნეობრივად და ეკონომიურად. ჩვენ
ში-კი, თუმცა სახალხო სკოლა ჰმოქმედობს
ოცს წელიწადზედ მეტს, სასიკეთო არა შეუც
ლია-რა ხალხის ცხოვრებაში. ამ სკოლის უნა
ყოფობას ავტორი უმთავრესად აბრალებს ი
გარემოებას, რომ ჩვენი სახალხო სკოლა გარ
დასცდა პედაგოგიურ გზას და მეტ ნაკლებო
ბით უარჰყო დედა-ენის მნიშვნელობა და მო
ნაწილეობა სკოლის საქმეში. რათა სახალხო
სკოლამ მოუტანოს ხალხს იმდენივე სიკეთე
რამდენიც მოაქვს სხვა ქვეყნებში, ავტორი
საჭიროდ სთვლის უმთავრესად შემდეგს ღო
ნის-ძიებებს: 1) ერთ-კლასიან სკოლებში სა
მის წლის კურსის მაგივრად დაარსდეს ოთხი
წლის კურსი, ორ კლასიანში ოთხისა და ხუ
თის წლის კურსის მაგივრად ექვსის წლი
კურსი; 2) ყველა საგნების სწავლება ერთ
კლასიან სკოლებში მიუცილებლად უნდ
სწარმოებდეს ოთხისავე წლის განმავლობაშ
მხოლოდ დედა-ენაზედ, რათა პირველ დაწყე
ბითი სწავლა ხალხმა სრულის შეგნებით შე
თვისოს; რუსული ენა-კი უნდა ისწავლებო
დეს, როგორც ცალკე საგანი. ორ კლასია
კოლებში-კი ოთხს წელიწადს, ვიდრე ერთ
კლასიან სკოლის კურსი გათავდებოდეს სრუ
ლიად, სწავლება ყველა საგნისა უნდა იყო
აგრეთვე დედა-ენაზედ, მეხუთე და მეექვს
წელიწადს-კი სწავლება გაგრძელდება რუსულ
ენაზედ; 3) ქართული მეტყველება, ქართუ
ლი წერა-კითხვა და ქართული გრამმატი
წინ უნდა უძღოდეს რუსულ-მეტყველებას
რუსულ წერა-კითხვას და რუსულ გრამატი
კას, თანახმად შედარებითის მეთოდის მო
ხოვნილებისა; 4) რუსულ ენის სწავლება უნ
და იყოს დამყარებული ერთის მხრით თვალ
საჩინო ელემენტზე, მეორეს მხრით დედ
ენის შემწეობაზედ; 5) თუ დირექტორებისა
თვის არა,—სახალხო სკოლების ინსპე
ტორებისათვის მაინცა და მაინც უნდა უს
თუოდ სავალდებულო იყოს ადგილო

ენის ზედმიწევნით ცოდნა; 6) ყველა ორკლასიან სკოლებთან უსათუოდ უნდა იყოს დაარსებული სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი და სხვ.

◆ სეკდემბერსა, ოკდომბერსა, ნოემბერსა და დეკემბერში უსინათლოთა სკოლას შესწირეს ფული, სხვა-და-სხვა ნივთი და სანოვაგე მ. ო. ფიშერმა, ქ-მა მასსიუმ, მე-7 უბნის ბოქაულმა ამბარდანოვმა და ს. ა. აივაზოვისამ. სკოლის საბჭომ გადასწყვიტა მადლობა გამოეცხადოს შემომწირველთ.

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათ გამგებელი ბ-ნი ზეკი გადაყვანილ იქმნა რუსეთში. მის მაგიერ დაინიშნა ბ-ნი ზელენინი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგებელი იყო. ზელენინის მაგიერ დაინიშნა სნეგირიოვი. გადაყვანილ იქმნა აგრეთვე რუსეთში ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგებელი ბ-ნი შაპოშნიკოვი.

◆ ქალაქის გამგეობის პირველი განყოფილება ამ ჟამად ადგენს იმ საქმეთა სიას, რომელიც განსაჩივრდა ქალაქის იურისტ-კონსულტის მიერ წარსულ 1902 წლის განმავლობაში; სიაშივე იქნება ჩართული ის საქმეებიც, რომელიც ამავე წელს აღიძრა; ამ საქმეთა სია დამზადებული იქნება 15 იანვრისათვის.

◆ როგორც სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო საქარის ამერიკულ ვაზების სანერგეს გამგეს, ბ-ნ სტაროსელსკის, მომავალ ზაფხულს გზავნის საზღვარ-გარედ ღვინის საქმის შესასწავლად.

◆ იქიდგანვე გვატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, ართვინის ზეთის ხილის სანერგის გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად, გადაუდვია 7,000 მანეთი ამ 1903 წლისათვის.

◆ როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა დაადგინა შესდგეს მეოთხე მიწის მზომელთა დასი, რომელიც შეუდგება სახელმწიფო გლეხკაცთა ადგილ-მამულების მოწესრიგებას; ამ დასმა, მინისტრის რწმუნებულის დადგენილებით, უნდა დაიწყოს მუშაობა მომავალ გაზაფხულზედ, რისთვისაც სახელმძღვანელოდ ექნება მიცემული მიწის მზომელ პარტიებისათვის ახლად შემუშავებული ინსტრუქცია.

◆ როგორც სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, სამაზრო სამხედრო საბჭოებში არსდება საქმის მწარმოებლების შტატები. ამ შტატების დაარსების ნებართვას ამ ცოტას ხანში მოელიან მთავრობისაგან.

◆ ხვალ, 11 იანვარს, ქალაქის სადგომში დანიშნულია ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის შემოსავალის სხვა-და-სხვა წყაროები 1903 განმავლობაში.

◆ ისააკ მანველოვმა ქალაქის გამგეობას მიართვა ქაღალდი და სთხოვა, ან დაამტკიცოს საბჭომ მის სახელობაზედ მისგან უკვე იჯარით აღებული კუკიისა და ავლაბრის საძოვარი ადგილები, ან, თუ საბჭო შესაძლებლად ვერ სცნობს ამას, ხელ მეორედ დანიშნოს ამ ადგილების იჯარა.

◆ თელავის გზაზედ მოსიარულე დილიჟანსებს არ იქნა და ვერ ეშველა წესიერი მიმოსვლა იქონიოს. 6 და 7 იანვარს მგზავრები ვაზიანში ცას ქვეშ გაუშვია დილიჟანსებს. საქმე ასე ყოფილა. 6 და 7 იანვარს მგზავრები თელავიდამ გამოუსტუმრებიათ მარხილებით იმ მოსაზრებით, რომ ვაზიანში დილიჟანსები დახვდებათ და ისე ჩავლენ ტფილისამდეო. ვაზიანში არამც თუ დილიჟანსები დახვედრია, არამედ ცის ქვეშ გაუშვიათ მგზავრები იმ თოვლ-ჭყაპში და ყინვა-სიცივეში. მიუმართნიათ აზოევის კანტორისათვის და იმათაც ცხენები არ ჰყოლიათ, ასე რომ გათენებისას ძლივ-ძლივობით უშოვნიათ ჩასაჯდომი და ისე ჩამოსულან ტფილისში. ხარჯიც, რასაკვირველია, ერთი-ორად მოსვლიათ. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას იმისი, ვისიც ჯერ არს.

◆ 8 იანვარს ღამით ტფილისში მიწა იძრა.

◆ ტფილისის ვაჭართ გადაუწყვეტიათ, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ათი სტიპენდია დააარსონ, თითო 12 თუმნიანი.

◆ 19 იანვარს დანიშნულია ვაჭართა საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს მამასახლისი და მისი თანაშემწე. ამავ კრებაზედ განიხილვენ საზოგადოების წარსულის წლის ანგარიშს.

◆ 12 იანვარს დანიშნულია კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი ვაჭართა საზოგადოების მამასახლისად ნამყოფის ბ-ნ ღავიდოვის 25 წლის სამსახურის დღესასწაულობის შესახებ. კრებას წევრთა კანონიერი რიცხვი თუ არ დაესწრო, მაშინ დაინიშნება მეორე კრება 22 იანვრისთვის.

◆ ორშაბთს სცენის მოყვარულნი რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოადგენენ „პარიჟელ ბიჭს“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა.

◆ საბეითალო უწყების ცნობიდგან სჩანს, რომ ბორჩალოს მაზრაში ამ ჟამად საქონელს ჭირს უცრიან. აქამდე აუცრიათ 20,000 სულ საქონლისთვის.

◆ მეორე საზოგადო კრება სამეურნეო საქმის მოღვაწეებისა, როგორც გაზეთები იუწყებიან, დანიშნულია ამ წლის 16-სა და 20 დეკემბერს პეტერბურგში. კრება განიხილავს მოხსენებას საქონლის მოშენებისა, მებაღეობისა, ხვნა-თესვისა და სხვა დარგთა გაუმჯობესობის შესახებ.

◆ მეორე მორიგი კრება ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა დანიშნულია 20 იანვრისათვის.

◆ 7 იანვარს, ღამით, როგორც გვატყობინებენ, ბათომში საშინელი ქარი ამოვარდნილა.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ ბ-მა ალიხანოვმა 7 დეკემბერს შეიტანა ამა დუქნების კომისიის კრებაზედ განცხადება, რომ საჭიროა ხორცის ნიხრს მოემატოს, ყოველ ხარისხზედ თითო კაპეიკი; ამ განცხადებაშივე დასძინა, რომ საჭიროა ქალაქის დუქნებში ხორცის მეოთხე ხარისხიც ისყიდებოდესო; წარდგენილ ანგარიშიდგან სჩანს, რომ თითო ფუთი ხორცი კომისიას უჯდებოდა 3 მან. 50 კაპ. და ახლანდელ არსებულ ფასებით ფუთი ისყიდებოდა 3 მან. 30—კაპიკად. ამისავე მოხსენებით იმ დროს ორი ხორცის დუქანი ყოველ დღე ზარალობდა 64 მან. ამ ჟამად დუქნების გამგემ ხელმეორედ განუცხადა გამგეობას და ითხოვა მისი წინადადება შეწყნარებულ იქმნას, რადგანაც სიცივეებისა გამო საქონლის ფასმა შესამჩნევად აიწიაო; საუბედუროდ, კომისიაში ახლად ამორჩეულნი წევრნი ჯერ მთავრობას არ დაუმტკიცებია და ძველის წევრების მოქმედებაც შეწყვეტილია; ამის გამოისობით ორი დუქნის 64 მანეთის ყოველ დღიურ ზარალს მიემატა მესამე დუქნის ზარალიც, რომელიც ავლაბარში გახსნა გამგეობამ ამ ცოტა ხანში; ერთის სიტყვით, ქალაქს ეს კეთილი განზრახულება იაფად არ უჯდება ჯერ-ჯერობით; ზოგიერთი ხმოსანი ამტკიცებს, რომ ხორცის დუქნების ზარალი ყოველთვის მოსალოდნელია, სანამ არ შემცირდება ხარჯი თვით დუქნების მოსამსახურეთა შენახვაზედაო. როგორც მოგახსენეთ, ბ-ნი ალიხანოვი ითხოვს ქალაქის დუქნებში ფასი მოუმატოს ხორცის ნიხრსა. აქვე-კი უნდა დავსძინოთ, რომ კერძო დუქნების პატრონები-კი შესაძლებლადაც სცნობენ, რომ გირვანქა ხორცი აწ არსებულ ნიხრზედ ნაკლებადაც-კი გაჰყიდონ. რა მიზეზია?

◆ როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, გამგეობამ მოსთხოვა ყოველ დღიური ანგარიში ქალაქის ხორცის დუქნების გამგეს; დუქნების გამგემ ბ-ნმა ალიხანოვმა უპასუხა, რომ, რადგანაც ავლაბრისა და ვერის ხორცის დუქნების მოწყობას ფული სჭირდებაო, აგრეთვე ყოველ დღე საჭიროა ჩემთვის ფული საქონლის შესაძენათაო, ამიტომ ყოველ დღე ანგარიშის წარმოდგენა მომეტებულად მიმაჩნიაო; ბ-ნი ალიხანოვი დასძენს, რომ იგი მხოლოდ კვირაში ერთხელ წარმოუდგენს დუქნების ანგარიშს გამგეობასაო.

◆ როგორც ქალაქის საქონლის სადგომ-ბაკეების და ეზოების წლიურ ანგარიშიდგან სჩანს, წარსულ წლის განმავლობაში მოურეკიათ 83,460 მსხვილ ფეხი საქონელი და 232,199 წვრილ-ფეხი საქონელი; ამ საქონლიდგან გაუყიდნია 57,437 მსხვილ-ფეხი და 168,566 წვრილ-ფეხი საქონელი. ამ ბაკეებიდგან ქალაქის კასსაში საქონლის სადგომის ქირა შესულა 19,955 მანეთი 95 კ., აქედგან 8,346 მსხვილ-ფეხის საქონლისა და 11,609 მან. 95 კაპ. წვრილ-ფეხის საქონლისა.

◆ მე-6 საბოქაულოში, სპარსეთის ქვეშევრდომმა მაშადი-აჰმედ-რასულ-ოღლიმ მტრობით ესროლა რევოლვერი სპარსეთისავე ქვეშევრდომს ალი-უუდი-მაშადი-ოღლის. ალი-უუდი-ოღლის ტყვია ასცდა, მაშადი-აჰმედ-ოღლი პოლიციამ შეიპყრო.

სასკოლო რეფორმის გამო.

ამ პატარა წერილში სრულიად მეტად მიგვაჩნია დაწვრილებით განვმარტოთ ის ჭეშმარიტზე უჭეშმარიტესი აზრი, რომ სწავლა-განათლების დედა ბოძად ყველა შეგნებულ პედაგოგის მიერ სამართლიანად აღიარებულია სამშობლო ენა. აწინდელი პედაგოგიის მამათ-მთავარნი ამოს კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, ბენეკე, უაკოტო, ჟანჟაკრუსო, უშინსკი და ბევრნი კიდევ სხვანი ერთხმად აღიარებენ სწავლა-განათლების საქმეში სამშობლო ენის აუცილებელ საჭიროებას. დასახელებულ პედაგოგთა და მეცნიერთა აზრი სამშობლო ენის მნიშვნელობის შესახებ იმოდენად თვალ-საჩინო და საგულისხმიეროა, იმოდენად სასარგებლო და გამოსადეგია საქმის რიგიანად წარმართვისათვის, რომ ამ აზრის უარყოფა, ან გვერდის შექცევა მომაკვდინებელ ცოდვად ჩაგვეთვლება, მომავალი ახალთაობა წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებს, თუ მართლა ამ ახალთაობის სწავლა-აღზრდის დროს პედაგოგიის უმთავრესს პრინციპს, პედაგოგიის მოხსენებულ მოთხოვნილებას ვუღალატეთ, თუ მართლა მოზარდი ახალთაობის, ამ მომავალი მოქალაქენის, სწავლა-აღზრდის საქმე ყალბ ნიადაგზე დავამყარეთ. სამშობლო ენა მართლაც ის თავი და თავი საფუძველია, ის აუცილებელი და მძლავრი საძირკველია, ურომლისოდაც სწავლა განათლების მტკიცე კედლების აგება ყოვლად შეუძლებელია.

დიახ, სამშობლო ენას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში და საუბედუროდ-კი ამ ენას ჩვენს სკოლებში სრულიად სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული. კავკასიის სამოსწავლო ოლქის სკოლებში ადგილობრივი ენები სავალდებულო საგნებად არა მიჩნეული, რის გამო სამშობლო ენის სწავლა შეგირდის სრულს სურვილზეა დამოკიდებული. შეგირდმა აბა რა იცის, და ისეც პირველ ხანებში, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედა-ენის სწავლას სხვა დანარჩენ საგნების მკვიდრ და საფუძვლიანათ შეთვისებისათვის. ეს გარემოება მეტად აფერხებს სამშობლო ენის სკოლებში რიგიანათ წარმართვის საქმეს. გარდა ამისა სწავლება სამშობლო ენისა ჩაბარებული აქვსთ ისეთს პირებს, რომელნიც თითქმის მოკლებულნი არიან სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნას. ეს გარემოება, რასაკვირველია, შეუმჩნევლად არა რჩება შეგირდების მიერ და ამის გამო საკლასო აუდიტორია სამშობლო ენის გაკვეთილების დროს დღითი-დღე მცირდება. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ქართულ ენას სავაჟო გიმნაზიებში მეორე კლასამდის ასწავლიან. სამი-ოთხი წლის განმავლობაში რომ ქართველი შეგირდი სამშობლო ენას საფუძვლიანად სწავლობდეს, კიდევ დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ არა თუ საფუძვლიანად სწავლობენ სამშობლო ენას, პირ იქით ისიც-კი ავიწყდებათ, რაც იცოდნენ სკოლაში მიბარებამდის. კვირაში ორი გაკვეთილია ქართული ენისა და ამ ორ გაკვეთილსაც ვერ აძლევს რიგიანათ მასწავლებელი, რადგან გიმნაზიებში ქართული ენის სწავლება უმთავრესად ჩაბარებული აქვთ კლასის დამრიგებლების თანაშემწეებს, რომელნიც ათასი სხვა-და-სხვა მოვალეობას ასრულებენ და ამიტომ ზოგჯერ სრულიად გაკვეთილებს არ ასწავლიან და ზოგჯერ კი ნახევარ გაკვეთილის შემდეგ ერეკებიან ბავშვებს სახლში. ამ პირობებში განა შესაძლოა ქართული ენის სწავლებამ რაიმე თვალ საჩინო კვალი გაავლოს შეგირდების გონებრივად წარმატების საქმეში!

დედათა გიმნაზიებში უფრო უარესს მდგომარეობაშია ქართული ენის სწავლების საქმე. სამშობლო ენის სწავლება ამ სასწავლებლებში მხოლოდ მაშინ სწარმოებს, როცა შეგირდების მშობლები ამ საგნისათვის გაიღებენ ხოლმე განსაკუთრებულ ხარჯს წლიურად. რამდენად უხერხულია საქმის ამ გვარად მოწყობა ეს იქიდგანაც სჩანს, რომ, მაგალითად, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში ამ ჟამად ოთხასზე მეტი ქართველი ქალია და ამათში მხოლოდ 30 სწავლობს სამშობლო ენას, დანარჩენ 370 მოსწავლე ქალი ფულის შეუტანლობის გამო მოკლებულია იმ ცხოველ-მყოფელ მადლს, რომელსაც გულში უნერგავს სამშობლო ენის რიგიანად სწავლება. როგორი დედები უნდა გამოდგნენ ის ქალები, რომელთაც თავისი სამშობლო ენა თითქმის სრულიად დაუვიწყებიათ, და ამის გამო ვერც სხვა უცხო ენა საფუძვლიანად შეუთვისებიათ! რა კეთილი მოელის იმ ოჯახს, საცა ასე მოუმზადებელი ქალები დედობის უფლებას მოიხვეჭენ! განა ასეთს ოჯახს სრული დანგრევა და განადგურება არ მოელის, განა ასეთს ოჯახს შეუძლია სასკოლო ჰასაკამდის რიგიანი ხელმძღვანელობა გაუწიოს ბავშვს! სკოლა მხოლოდ მაშინაა ზურგ გამაგრებული, როცა გონივრულად მოწყობილი ოჯახი ხელს უწყობს, დახმარებას არ აკლებს. უამისოდ სკოლა შესაფერს ნაყოფს ვერ გამოიღებს. ოჯახი საიდან შეიქმნება გონივრულად განწყობილი, თუ მისი წევრნი სკოლიდან უსულონი და უგულონი გაიჩენენ საკუთარს ოჯახს!

სამწუხაროა და მეტად ჩამაფიქრებელი ეს გარემოება და თუ დროზე რამ არა ვიღონეთ, ჩვენი ოჯახი მოკლე მომავალში სრულიად განადგურდება, ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმე შეფერხდება, უსაფუძვლო და ყალბ ნიადაგზე დაამყარდება.

სხვა რომ არა იყოს-რა, თვითონ სახელმწიფოს უდიდესი ინტერესები მოითხოვს, რომ ქართველი მოზარდი ახალთაობის სწავლა აღზრდის საქმე უფრო ნორმალურ ვითარებაში სწარმოებდეს, რადგან უსულოდ და უგულოდ აღზრდილი ქართველი იმავე სახელმწიფოს მეტი ბარგია.

ჩვენი ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობაა ამის გამო ვამცნოთ უმაღლეს მთავრობას ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც საფუძველს უსუსტებენ ქართველ მოზარდთაობის სწავლა-განათლების საქმეს, საჭიროა ვამცნოთ მათ უმეტეს, რომ ამას მოითხოვს არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ თვითონ სახელმწიფოს ინტერესები. თუ ქართული ენა სავალდებულო საგნათ არ იქმნა შემოღებული სასწავლებლებში, თუ თვითონ მთავრობამ არ გაიღო ამ საგნისათვის საჭირო ხარჯი, საქმის დღევანდელი მდგომარეობა ოდნავად არ შეიცვლება.

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრო სასკოლო რეფორმისათვის საჭირო მასალას აგროვებს და ამა თუ იმ საერთო წესწყობილების შემოღების ცდაშია.

ყოველგვარ საბუთიან საქმის განმარტებას სამინისტრო დიდის სიამოვნებით მიიღებს და კიდეც იხელმძღვანელებს საერთო რეფორმის დროს ამა თუ იმ განსაკუთრებულ ვითარების მიხედვით. ამიტომ საჭიროა აღიძრას სამინისტროს წინაშე მოხსენებულ საგნის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობა.

ჩვენის აზრით ესეთის შუამდგომლობის აღძვრა უნდა იკისრონ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლებმა და ეს შუამდგომლობა, რაც შეი-

ფელეტონი

მოშხამული გული.

(ამბავი)

ზაფხულის საღამო იყო. შვენიერი გრილი ნიავი ქიქინებდა; სახლში-კი ზაფხულის მზის გახურებულ კედლებისგან ალმური ტრიალებდა. სიცხით ვიწოდი. შინ ტყუილად ყოფნას გარედ წმინდა ჰაერზე ტყუილა სიარული ვამჯობინე. საღამოც ახლოვდებოდა. ავიღე ქუდი, ხელში ჯოხი დავიკავე და გაველი ბაღში სასეირნოდ.

უქმე დღე იყო და ამიტომ ბაღში ხალხს ბლომად მოეყარა თავი. მუსიკა შვენივრად უკრავდა. ბაღის ხეივანში ქალი და კაცი მწკრივ-მწკრივად დასეირნობდნენ.

აი ერთ ყმაწვილ ქალსა და კაცს ხელი ხელში ჩაუკიდნიათ და ისე მიდიან, თითქო უკან ვინმე მისდევთო. ქალი მოღუშული სახე, ძირს დაშვებული ფირფიტასავით ხმელი ცხვირი, საყვედურის გამომეტყველი თვალები გატყობინებდათ: „არ მსურს თქვენთან სიარული. თავი დამანებეთ“, მაგრამ მამაკაცის ძარღვიანი, მსხვილი მკლავი ღონივრად ჩაჰკროდა ქალის მკლავსა და თავს არ ანებებდა. კაცის სახეზე გარკვევით წაიკითხავდით: „მართალია თქვენ არ გსურთ ჩემთან წამოსვლა, მაგრამ ცოტა მეც მკითხეთ, მე სულაც არ მინდა შენს ნებაზე გატარო“, და საწყალ ქალს, რომელიც უკან რჩებოდა, კაცი ხან-ხან თავისკენ მოსწევდა ხოლმე და მიარ-

აგერ ნელის ნაბიჯით მიდიან ახალგაზდა ქალი და კაცი; კაცი მორცხვად, დაბალის ხმით ელაპარაკება რაღაცას ქალს, თანაც დროგამოშვებით აქეთ იქით იხედება, ხომ არავინ მადევნებს თვალ-ყურსაო. და, რა-კი დარწმუნდა—მეთვალყურე არავინ მყავსო, ცოტაოდნად ქალისკენ მიიწევს და ტკბილის ღიმილით რაღაცას წასჩურჩულებს, ქალი-კი ამ დროს გვერდზე იწევს, იღიმება, სიამოვნების ნიშნად, პასუხად რაღასაც ეუბნევა ყმაწვილს, და მერე ისევ ჩვეულებრივის ნაბიჯით მიდიან.

აგერ ქალაქის ტარაკუჭები, ჩალის „ცილინდრებით“ და პაპიროზებით პირში, დინჯად დასეირნობენ, ხშირად ულვაშებს ისწორებენ, ტუჩებს ნერწყვით ისველებენ, რა არის მეტი სიცხოველე და მიმზიდველობა დაეტყოთ და მაყურებელ ქალთა ყურადღება მიიპყრონ.

იქ-კი ორი ურია სდგას; ერთი მაღალი და ხმელი, ტანთ აცვია ნარმის საცვლები, ზედ წამოსხმული აქვს სქელი, ალაგ-ალაგ სხვა-და-სხვა ფერ ნაჭრებით დაკერებული პალტო. მეორე ურია-კი უფრო მსუქნად გამოიყურება, ჩოხა აცვია და ყურს უგდებს პირველის ლებდი და ზოგი-კი გაცხარებულ ლაპარაკსა...

უცბად მუსიკამ დაუკრა „ვალსი“. ამ ხმამ ყველას სიამოვნება მოჰგვარა და ყურადღება მიიპყრო. მუსიკის ხმას ზოგი თავის ხმას აყომის ხმაზედ ფეხებს ათამაშებდა.

მე დავდიოდი ნელის ნაბიჯით ხეივნებში და თვალს ვადევნებდი მოსეირნეთა, რომ ვინმე ნაცნობი მენახა და თავი გამერთო მასთან მუსაიფით, მაგრამ თითქოს ყველა ჩემი ნაცნობი გახიზნულაო, თვალი ვერავის მოვკარ.

ქალების გრძელ კაბების კუდების წყალობით ბაღში მტვერის ბუღი იდგა; ნიავი არ ჰქროდა. თან-და-თან ღამდებოდა. ცაზედ ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ნორჩი, ნახევრად გულ-მოღიავებული მთვარე ბაღს დასცქეროდა და მის ნაზ, მკრთალ ნათელზედ მაღალ ჭადრის რიცხვ-მრავალნი მწვანე ფოთოლნი საუცხოვო, მომხიბლავის ფერით გამოიყურებოდა.

გუნდი მოსეირნეთა თან-და-თან კლებულობდა, თან ჰაერიც იწმინდებოდა. შინ წასვლა არ მინდოდა და, დაღლილი უთავბოლო ხეტიალით, სკამზე ჩამოვჯექ დასასვენებლად.

პაპიროსი გავიკეთე და ცეცხლი იქვე ჩემს მეზობელს ვსთხოვე. მივბრუნდი მისკენ, დავაცქერდი და შევეკითხე გაკვირვებით.

— ლევან! შენა ხარ?!.

— აა! გამარჯვება შენი.—მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.

ძლიერ გამეხარდა ამ ყმაწვილის ნახვა: წინად კარგი ამხანაგები ვიყავით და დიდხანსაც ვსცხოვრობდით ერთად. ახლა-კი, აგერ ორი წელიწადი გადიოდა, რაც ის არ მენახა და, რასაკვირველია, მესიამოვნებოდა მისი ნახვა.

— სადა ხარ, კაცო?!. სად დაიკარგე რომ ვერსად შეგხვდი?—შევეკითხე ღიმილით.

ლევანი იჯდა, თავი ძირს დაეხარა და წელში მოხრილიყო. ჩემს გამოლაპარაკებაზედ-კი თავი მაღლა აიღო. სახეზედ რაღაც სევდისა და მწუხარების ზეწარი გადაჰკროდა, წინად სიცოცხლის გამომეტყველი სახე ახლა მთლად გამოსცვლოდა და, ნაცვლად ვარდის-ფერ ლოყებისა, ძვალი და კანი შერჩენოდა. თვალების გუბეები ამოღილავებოდა; სწორე და განიერი შუბლი ნაოჭად შეჰკვროდა; მაღალი სქელი კისერი დაკიწროებოდა და ორი მაგარი ხმელი ძარღვი უჩანდა სტუდენტურ „ტუჟურკის“ გახსნილ საყელოდან.

ეტყობოდა, ჩემი ღიმილი მას მაინც-და-მაინც არაფრად ესიამოვნებოდა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ის რაღაც დაბნევით შემეკითხა:

— სადა ხარ ახლა?

ჯერ-ჯერობით თავისუფლად დავდივარ-მეთქი და მთვარის შუქზე უეცრივ თვალი მოვკარ მის მარცხენა მკლავზე შავს სამგლოვიარო „ლენტსა“.

— ლევან! ვისა ჰგლოობ? შევეკითხე მე და ვანიშნე ლენტი.

— მეუღლესა,—მომიგო მან სევდიანის ხმით.

— როგორ თუ მეუღლესა? შევეკითხე მე, გაკვირვებით, რადგანაც არ ვიცოდი თუ ცოლი შეერთო და ან თუ კიდევაც მოჰკვდომოდა.

— ეჰ, ნუ მკითხავ, ნუ გამახსენებ წარსულს რომელმაც ჩემი სიცოცხლე შუა გაყო! სთქვა მან ნაღვლიანის კილოთი.

— რა იყო, ლევან! რა მოგივიდა ასეთი? შევეკითხე ცნობის მოყვარეობით, რადგანაც მინდოდა გამეგო, რა მოსვლოდა ამ საცოდავ ყმაწვილ კაცს.

— ეჰ, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! გული მტკივა, გული!.. ნახე ერთი, რამდენი საათია? ღამის მატარებლით რუსეთს უნდა გავემგზავრო ამაღამ.

— ათის ნახევარია,—მიუგე მე,—აბა ჯერ რა დროსია?!. მომიყევ, გამაგებინე, როგორ მოხდა ეგ ამბავი.

არ უნდოდა ეამბნა რამ, მაგრამ, რადგან არ მოვეშვი, იმანაც დაიწყო:

— როგორც იცი,—დაიწყო მან,—შარშან დავამთავრე სემინარია. გულით და სულით მოწადინებული ვიყავ რამეფრათ უნივერსიტეტში შევსულიყავ. სემინარია შვენივრად გავათავე: მოწმობაში სულ ოთხები და ხუთები მქონდა; პირველ ხარისხიანებში მეორე მოწაფე ვიყავ... შარშან სამის თვის განმავლობაში ოღონდ ხორცი-კი იყო აქ ჩემი, თორემ სულით რუსეთში ვიყავ, უნივერსიტეტის აუდიტორიაში; მართალია, ფული არ მქონდა, მაგრამ გადავწყვიტე შემერთო ქალი და ანაღების ფულით წავსულიყავ სასწავლებლად.

„ეჰ“! ლევანმა აქ ღრმად ამოიოხრა, გულზე ხელი დაიდო და ისევ განაგრძო:

— ეს ჩემი სურვილი მშობლებს განვუცხადე.

მამა-ჩემი, ხომ იცი ძველებური კაცის ამბავი, თუმცა მღვდელია, წერა-კითხვა იცის, დროგამოშვებით „მწყემსშიაც“ ჩაიხედავს ხოლმე, მაგრამ ეს ჩემი სურვილი რომ განვუცხადე, ერთი ისეთი შემომხედა თავის დაწითლებულ თვალებით, რომ სიტყვა „უნივერსიტეტი“ შუაზე გამაწყვეტია.

— „ნოვირსეტი“-კი არა ის მომთხოვე ახ-

ძლება, საჩქაროდ უნდა აღიძრას, რადგან ამ საგნის საკეთილოდ გადაწყვეტას ძირითადი მნიშვნელობა ექმნება მთელ ქართველთა ახალ-თაობის გონებრივ განვითარებისათვის. უმაღლესი მთავრობა თანაგრძნობით მოეპყრობა მთელი ერის გულისაგან გადმონახეთქს სამართლიან სურვილს, თანაგრძნობით მოეპყრობა მით უფრო, რომ ამას მოითხოვს თვით საქმის სამართლიანობა და თვითონ სახელმწიფოს პირდაპირი სარგებლობა.

უმაღლესმა მთავრობამ ანალოგიური შუამდგომლობა უკვე საკეთილოდ გადასწყვიტა პოლონეთისათვის. მთელს პოლონეთში პოლონიური ენა აგერ რამდენი ხანია სავალდებულო საგნადაა სკოლებში აღიარებული, პოლონიური ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლადაა მიჩნეული და სათანადო ჯამაგირსაც მთავრობა ეწევა. თუ-კი პოლონეთში სამშობლო ენის სწავლება სავალდებულოდ გახადეს, საქართველოში-კი, რა საფიქრებელია, მთავრობამ ეს შეუძლებლად დაინახოს, მით უმეტეს, რომ სამშობლო ენის საფუძვლიანად სწავლება მეტად ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მკვიდრთა გათვითცნობიერების საქმეს.

ყოველივე ჩვენი გაჭირვება და ვალხინება პირდაპირ უმაღლეს მთავრობას უნდა ვამცნოთ, დეე უმაღლესმა მთავრობამაც იცოდეს ჩვენი გულის ჭეშმარიტი ტკივილი, ჩვენი მდგომარეობის ნამდვილი ამბავი, მაშინ ყოვლად შემცდარ აზრებს ვერ გაავრცელებენ ქართველობის შესახებ სელივანოვისთანა პოლიტიკანები, რომელნიც წარბებ შეუხრელად მთელი განათლებული რუსეთის წინაშე ამტკიცებენ, რომ „ქართველებს უნდოდათ მთელი კავკასია გაექართველებინათ და ქართულის სწავლება შემოეღოთ აბხაზეთსა, სამეგრელოსა, გურიასა და სხვა ქვეყნებში. ქართული უნდოდათ შემოეღოთ, როგორც პირველ დასაწყისს სკოლებში, ისე ღვთის მსახურებაში და სრულიად განედევნათ რუსული“-ო. ამ ასი წლის განმავლობაში, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, არც ერთს ქართველს აზრადაც არ მოსვლია „რუსული ენის განდევნა“, პირ იქით ეს ენა, როგორც სახელმწიფო ენა, ძრიელ საჭიროდაც მიაჩნია, მხოლოდ ამასთანავე თავის სამშობლო ენის საფუძვლიანად შესწავლის სურვილიც დიდი აქვს და ამის უფლებას მას ვერავინ ვერ წაართმევს. დიაღ, ქართველობა ასის წლის განმავლობაში მუდამ რუსეთის ერთგული ქვეშევრდომი ყოფილა, რაიც არა ერთხელ შეუმოწმებიათ რუსეთის ტახტის თვითმპყრობელ გვირგვინოსნებსაც, და ყოველ ამის შემდეგ სელივანოვისთანა მეჭორე ვაჟბატონები გამოდიან და მთელ ერს საზიზღარ ცილს სწამებენ.

ჩვენის აზრით, თავად-აზნაურობის წინამძღოლების პირდაპირი მოვალეობაა დაიცვან მთელი ქართველობა სრულიად დაუმსახურებელ საზიზღარი ცილის წამებისაგან, და ამასთანავე ყოველ კერძო შემთხვევაში ამცნონ უმაღლეს მთავრობას მთელი ერის ჭეშმარიტი გულის ტკივილი. უმაღლესი მთავრობა, როცა ჩვენს გარემოებას დაახლოვებით გაიცნობს, მოუცილებლად შევა ჩვენს მდგომარეობაში და ყოველთვისაც დაგვიკმაყოფილებს ისეთს კანონიერ მოთხოვნილებას, როგორიცაა სამშობლო ენის სავალდებულო სწავლების შემოღება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასწავლებლებში.

ა. ყუმისთაველი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

7 იანვარი.

დილის 10 საათიდგან, თუმცა მეტად ცუდი ამინდი იდგა, ქალაქის თეატრს დიდ ძალი ხალხი მიაწყდა. შეიქნა გახმობ-გამოხმობა, ჯგუფ-ჯგუფად თავის მოყრა და ჩურჩულით ლაპარაკი. ყველას რაღაც მზრუნველობა ემჩნევა. ერთმანეთს მუშტრის თვალით ჰზვერავენ. კრებას უბილეთოდ ვერვინ დაესწრება,—და ამისათვის მებილეთეს ფუტკარივით ეხვევა ბრუნდი და მართალი.

ხალხი დალაგდა. სცენაზე ერთს გრძელს მაგიდას უსხდნენ: კრების თავმჯდომარე საოლქო ინჟენერი ა. მ. ცვეტლინი, მის მარცხნით—წარმომადგენელი კავკას. სამთა-მადნო გამგეობისა, მთავრობის მიერ სარევიზიო კომისიის წევრად დანიშნული ინჟენერი ბ. მარკოვსკი; თავმჯდომარის მარჯვნით—ნ. პ. პრინცი—მთავრობის წარმომადგენელი, რევიზორი რკინის გზის მოძრაობისა სოლოვიოვი—კავკ. რკინის გზათა წარმომადგენელი, ინჟ. საპიცკი—ჭიათურის მარკშეიდერი და ბ-ნი გ. გველესიანი—ქალაქის წარმომადგენელი. მეორე მაგიდასთან ისხდნენ ბ-ნი გ. ზდანოვიჩი—თავმჯდომარე შავი-ქვის მწარმოებელთა ამხანაგობისა და მდივანნი ამავე ამხანაგობისა ბ-ნნი ა. ნანეიშვილი და ლ. მიქელაძე. საპატიო სტუმართა შორის ბრძანდებოდნენ, სხვათა შორის, თავად აზნაურთა გუბერნიისა და მაზრის უფროსნი.

დარბაზი თეატრისა შავი-ქვის ამხანაგობის წევრებს ეჭირათ, რომელთა რიცხვი 80-მდე იქმნებოდა (სულ ას სამოცამდეა); ლოჟებში—გარდა კორესპონდენტთა—მოწვეულნი სტუმარნი ჩამწკრივდნენ; მათ შორის, რასაკვირველია, მანდილოსანნიც. დანარჩენ ცნობისმოყვარეთ ისე გაეჭედათ ქანდარა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა.

თავმჯდომარემ ზარი დაარაწკუნა კრების დაწყების ნიშნად და განაცხადა—თანახმად ბ-ნ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებისა ვხსნი მე V კრებას ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა, რომელმაც უნდა განიხილოს ამ კრებისათვის უკვე დამზადებული და მთავრობის მიერ მოწონებული პროგრამა. მხოლოდ, უწინარეს ყოვლისა, კრების მდივანი უნდა ავირჩიოთ და გთხოვთ, დაასახელოთ ვინმე მცოდნე და გამოცდილი კაციო.

კრება ახმაურდა. აქა-იქ წამოიძახეს—მდივანი, მდივანი, დავით მდივანიო,—და დასასრულ თითქმის ერთხმად მდივნად არჩეულ იქმნა დ. ბ. მდივანი.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ განაცხადა,—საჭიროა ეხლავე ავირჩიოთ 5 კაცი იმ კომისიისათვის, რომელმაც რწმუნების ქაღალდები უნდა შეამოწმოს, რადგან შესაძლოა ნებსითი, თუ უნებლიეთი შეცდომები იყოს შეპარული, და კრება-კი მოვალეა სიმართლე და კანონიერება მტკიცედ დაიცვასო..

შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს წევრი ბ-ნი ემერიკი, რომელიც კრებაზედ ყუმბარასავით შემოვარდა. თითქო საომრადაო, აღელვებით შეეკამათა თავმჯდომარეს,—5 კი არა—7 კაცი უნდა იქმნას არჩეული, რადგან 7 სამადნო უბანია შავის-ქვისაო,—და არა მარტო რწმუნების ქაღალდთა განსახილველად, არამედ ყველა წევრების უფლებათა შესამოწმებლადაო. გარდა ამისა, ბ-ნი ემერიკი ასახელებს წესდების ერთს მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ რწმუნების ქაღალდების გასინჯვა არჩევნების წინ უნდა მოხდეს და მანამდე რა საჭიროა კომისიის არჩევაო.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ კომისიის არჩევა აუცილებლად საჭიროა ამ თავითვე, რადგან შესაძლოა სხვა-და-სხვა საკითხის გადაწყვეტის დროს ზოგიერთმა უვარგისის რწმუნების ქაღალდით ისარგებლოსო და თვით ბ-ნ ემერიკის მიერ დასახელებული წესდების მუხლიც ამასვე გვეუბნებაო.

ბ-ნი ემერიკი გაანჩხლებული თხოულობს, წესდების მუხლი სიტყვა-სიტყვით უნდა იქმნას დაცულიო, ყოველივე ცხადათაა მოყვანილი და არავითარი განმარტება საჭირო არ არისო.

აქეთ-იქიდგან შენიშნეს ბ-ნ ემერიკს,—თუ გნებავთ 7-კი არა, ათი კაცი ავირჩიოთ კომისიისათვის, მხოლოდ გვიკვირს, რად უარობთ, რომ ეხლავ მოხდეს კომისიის არჩევაო.

თავმჯდომარემ კიდევ განაცხადა,—კომისია უსათუოდ ეხლავ უნდა იქმნას არჩეულიო და მიჰმართა კრებას,—დაასახელეთ შვიდი კაციო და კრება 10 წამით შესწყვიტა.

კრების განახლებისათანავე დასახელებულ იქმნენ: ზ. ოჰანეზოვი, დ. პილიდი, ბ. მოსეშვილი, თავ. ფრ. წერეთელი, ს. წერეთელი, ი. ნიჟარაძე და ი. პ. კაკაბაძე.

ბ-ნი ემერიკი თხოულობს, რომ კომისიაში უეჭველად სამთამადნო გამგეობის წევრმა ინჟინერმა მარკოვსკიმაც მიიღოს მონაწილეობაო; ამას თვით წესდება გვავალებსო.

ბ-ნი პილიდი უარს ამბობს კომისიაში მონაწილეობაზედ.

ბ-ნი ზდანოვიჩი კითხულობს წესდების იმ მუხლს, რომელშიაც ნათქვამია, რომ რწმუნების ქაღალდების გასინჯვა ევალება კრების თავმჯდომარესა და კრების მიერვე არჩეულ კომისიას; ამ მუხლში არაა ნახსენები არც რაოდენობა კომისიის წევრთა და არც ის, ვითომ საჭირო იყოს ამა თუ იმ დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობა.

ინჟინერი მარკოვსკიც უარს ამბობს. ისმის ხმები: „კარგია, რომ უარსა ხართო“. ზოგიერთები ასახელებენ ბ-ნ ემერიკს. ასტყდა ყვირილი: „არ გვინდა ემერიკი, ემერიკს კენჭი ვუყაროთ, მხოლოდ სხვები უკენჭოდ ავირჩიოთო“. დ. პილიდის მაგივრად ასახელებენ დ. ნ. ბაქრაძეს.

თავმჯდომარე აცხადებს,—დასახელებული კაცები ფეხზედ ადგომით ავირჩიოთ, რადგან კენჭის ყრა დიდხანს გაჭიანურდება და არ რა საჭირო არისო.

ბ-ნი ემერიკი თხოულობს, რომ ან ყუთები დაიდგას, ან ბარათებით შეიკრიბოს ხმები,—თუ ათს მაინცა სურს, რომ ყუთები დაიდგას, თქვენ ნება არა გაქვთ არ დააკმაყოფილოთ მათი სურვილი; მე ვთხოულობ, ან ყუთები დასდგათ, ან ბარათებით შეჰკრიბოთ ხმები და კანონიერება არ დაარღვიოთო.

ბ-ნმა ზდანოვიჩმა განაცხადა,—არამც თუ ათს კაცს,—ხუთსაც-კი ნება აქვს მოითხოვოს მაგვარი კენჭის ყრა, მაგრამ ჯერ რწმუნების ქაღალდები გადასინჯული არაა, და ვინაა თავმდები, რომ სწორედ უკანონო ხმის მქონემ არ გადაჰხაროს სიმართლის სასწორი. ჯერ გავიგოთ, ვისა აქვს კენჭი, და მერე მივმართოთ კენჭით საქმის გადაწყვეტასაო.

შეკამათდნენ ბ-ნი ზდანოვიჩი და ბ-ნი ემერიკი, რომელმაც განაცხადა,—შავი-ქვის მონაწილეთა სია ნაყოფია „უსაქმურ ოცნებისა და ბოროტ განზრახვისაო“.

ბ-ნმა ზდანოვიჩმა ამის პასუხად მიუგო,—საყურადღებოა ვიცოდეთ, ბ-ნი ემერიკი საქმის უცოდინარობით სჩადის ამას, თუ განზრახ გვეკიდება ასე მტრულადაო. მაშ, როგორ მივხვდეთ ბ-ნ ემერიკის ბრალდებას, ვითომ მრეწველთა სია უსაქმურ ოცნებისა და ბოროტ განზრახვის ნაყოფი იყოსო.

ბ-ნი ემერიკი. მე განზრახ მუდამ კარგად ვიქცევი, ცუდად კი—არაოდეს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. არა მჯერა, რომ ბ-ნ ემერიკს არ ახსოვდეს ის კრება, რომელზედაც სამთამადნო გამგეობის მიერ წარმოდგენილი სია განიხილა და დაამტკიცა ჩვენმა საბჭომ. მაშინ ხომ თქვენც იმ საბჭოში ერიეთ, როგორც ერთი წევრთაგანი, მოიწონეთ და დაამტკიცეთ იგი? აბა, უკეთ მოგაგონოთ, იქნებ გაიხსენოთ. ვსთხოვ საბჭოს წევრთ, ამ კრების წინაშე აღიარონ, დაესწრნენ იგინი და მათთან ერთად ბ-ნი ემერიკიც სიის დამტკიცებას, ან ერთი კრინტი დაუძრავს ბ-ნ ემერიკს სიის წინააღმდეგ, თუ არა?

ბ-ნი ემერიკი ჯერ უარობდა,—სრულიად არ დავსწრებივარ კრებასაო, და შემდეგ სთქვა,—თუმც დავესწარი, მაგრამ ხელიც-კი არ მომიწერია ოქმზე, რადგან წინააღმდეგი ვიყავიო. ბბ-ნთ ავგერინოსმა და ცერცვაძემ განაცხადეს, ბ-ნ ემერიკს ერთი კრინტიც არ დაუძრავს სიის წინააღმდეგაო. როდესაც შეეკითხნენ საბჭოს მეოთხე წევრს ბ-ნ გამყრელიძეს,—თქვენ რას იტყვითო,—ყოყმანი დაიწყო და შემდეგ სთქვა,—სწორედ არ მახსოვსო. ბ-ნი ზდანოვიჩი სცდილობდა, როგორმე მოეგონებინა გამყრელიძისათვის ის კრება და დაწვრილებით ჩამოთვალა, თუ ვინ რა სთქვა, ან რა იმოქმედა სიის შესახებ, მაგრამ ბ-ნი გამყრელიძე მაინც იმას ამბობდა,—არ მახსოვსო. მაშინ ბ.ბ. მოსეშვილმა მიჰმართა ბ-ნ გამყრელიძეს საყვედურით,—როგორ არა გრცხვენიანთ, საზოგადოების მიერ არჩეული კაცი ხართ, იმდენი გამბედაობა არ შეგწევთ, რომ სიმართლე აღიაროთ!

ბ. ემერიკი. ამ სიაში ისეთები არიან მოქცეულნი, რომელთაც ერთი ფუთი ქვაც-კი არ ჩამოუტანიათ ჭიათურაში ამ უკანასკნელ წლებში; სიას-კი,—თუმცა ზოგიერთნი გაიძახიან, დიდი ხანია, მზად იყოო,—თითქმის ამ ნოემბრის დამლევამდე თანდათან ემატებოდა. მე გარწმუნებთ, რომ სია დიდად უსინიდისოთ არის შემდგარი, მაგ. ბ. ვ. ქორქაშვილს ერთი ფუთი ქვაც-კი არა ჰქონია *) და სიაში კი არის გამოჭიმული. განა ეს ბოროტ-მოქმედება არ არის?

ბ. ზდანოვიჩი. ბ. ემერიკი დიდ ბრალს სდებს, უსინიდისობას სწამებს ვიღაცას, მხოლოდ იმდენი გონებრივი და ზნეობრივი გამბედაობა არ შესწევს, რომ პირდაპირ დაასახელოს იგი.

ბ. ემერიკი. ეს—თქვენ ხართ!

ბ. ზდანოვიჩი. ეს სიმამაცე-კი არა—უტიფრობა და ურცხვობაა თქვენის მხრით?

ბ. იაშვილი. ვ. ქორქაშვილმა ჯერ ისევ 1901 წელს წარმოადგინა სამთა-მადნო ზედამხედველის ბ. მარკოვსკის მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ იმ კაცს 200,000 ფუთი ქვა ჰქონდა დამზადებული და ამიტომ ბაქანიც დავუთმეთ.

ბ. კ. მოდებაძემ ქანდარიდგან გადმოიძახა, ეგ 1900 წელს იყო და არა 1901-საო. დანამდვილებით არავის ახსოვდა, როდის მოხდა ეს, მაგრამ ის-კი თვით ბ. მარკოვსკიმ დაადასტურა, რომ ვ. ქორქაშვილს 200,000 ფუთი ქვა ჰქონდა დამზადებული.

შემდეგ ბ. ზდანოვიჩმა განმარტა, თუ რა ღონისძიებას მიჰმართა ბ. ემერიკმა. სწორეთ მეძნელებაო, სთქვა ბ. ზდანოვიჩმა აღელვებით, რა ვუწოდო ბ-ნ ემერიკის სიტყვებს; გაისმა ხმები: „თავხედობა, უტიფრობა“. არა, ბატონებო, პირდაპირ უმსგავსი სიცრუვე გახლდათ.

ბ-ნ ემერიკმა მოითხოვა, რომ ეს სიტყვები ოქმში შეეტანაო და თავის მხრით ბ. ზდანოვიჩს ყალბ საბუთების შემდგენელი უწოდა.

თავმჯდომარემ აიმაღლა ხმა, შესწყვიტა კამათი და შეუდგა კომისიის არჩევას ფეხზე ადგომით.

აირჩიეს: ზ. ოჰანეზოვი, დ. ბაქრაძე, ბ. მოსეშვილი, თავ. ფრ. წერეთელი, თავ. ი. ნიჟარაძე, ს. ი. წერეთელი და ილია პ. კაკაბაძე.

შემდეგ თავმჯდომარე შეეხო პროგრამის § 15-ს, (მოხსენება კომისიისა, რომელიც შავი ქვის მრეწველთა მესამე კრებაზე იქმნა არჩეული, იმის გამოსარკვევად, თუ რა ღონისძიებას უნდა მიჰმართონ, რომ ქუთაისის გუბერნიაში მდაბალი სამთამადნო სასწავლებელი დაარსდეს და, გარდა ამისა, როგორ მოეწყოს შტეიგერთა ინსტიტუტის ორგანიზაცია). თავმჯდომარემ დასძინა, კრება ვერ უარ ჰყოფს იმ წინადადებას, რომელიც სამინისტროდგან მივიღეთ, მაგრამ სრული ნება გვაქვს მსჯელობა ვიქონიოთ და თუ საჭიროთ დავინახავთ, შუამდგომლობა აღვძრათ, რომ ზოგი რამ შესცვალონ, ან დაუმატონო.

როგორც გამოირკვა, რაღაც ახირებულ შეცდომის, თუ გაუგებრობის მიზეზით, კომისიასაც და საბჭოსაც უყურადღებოდ დაუგდო ეს საქმე, რადგან ერთმანეთის იმედით ყოფილიყვნენ და დანამდვილებით არა სცოდნოდა არც ერთს, თუ ვის დაეკისრა იგი.

თავმჯდომარემ ახლად არჩეული კომისია რწმუნების ქაღალდების გასასინჯად საღამოს 7 საათზე დაიბარა და 11½ საათზე შესწყვიტა კრება, რომელიც 8-ს დილით 11 საათზე უნდა შეიკრიბოს.

---

*) კრებაზედ ხმა მხოლოდ იმ მრეწველთ ეძლევათ, რომელთაც არა ნაკლებ 100,000 ფ. ქვისა დაუმუშავებია, ან საზღვარ-გარეთ არა ნაკლებ ნახევარ მილიონისა გაუსტუმრებიათ. ცნობებს იმის შესახებ, თუ ვის რამდენი ქვა აქვს დამზადებული, ადგილობრივი სამთა-მადნო საოლქო გამგეობა აწვდის საბჭოს, თავის ზედამხედველთა წყალობით, ხოლო გაზიდულ ქვის რაოდენობას—ფოთის საბაჟო. საბჭომ, რომელიც 5 კაცისაგან შესდგება, მხოლოდ უნდა იანგარიშოს, ვის რამდენი ქვა აქვს, ან გაუზიდნია, და, იმისდა მიხედვით, მიანიჭოს კენჭი ამა-თუ იმ მრეწველს. ამგვარად, საბჭო სავსებითაა დამყარებული იმ ციფრებზედ, რომელსაც საოლქო სამთა-მადნო გამგეობა და ფოთის საბაჟო აწვდის; ამ ციფრებში რომ კიდეც რაიმე შეცდომა აღმოჩნდეს, ახირებული იქნება საბჭოს დაჰბრალდეს, ვინაიდგან სრულიად ვერ შეეხება საბჭო ზემოხსენებულ დაწესებულებათა და, მით უმეტეს, ვერ მოსთხოვს, ასეთი და ასეთი ციფრები მომაწოდე და შეცდომაში არ შემიყვანოო.

ჩვენებური ამბები

სვანეთი. სრულს სიმართლეს აღიარებს ქ-ნი ოლღა დადეშქელიანისა „ივერიის“ მე-273 ნომერში. განათლების საქმე თვალსაჩინოდ იკლებს სვანეთში. გამიგონია, რომ სწავლა-განათლება თანდათან ფეხს იკიდებს ხალხშიო, თანდათან კლება-კი არ მსმენია. წინად, 1897 წლიდგან დღემდე ყოველ პატარა სოფლის მოედანზედ ბავშვთა ხმა-მაღალი წიგნების კითხვა და ეკკლესიებში მოწაფეთა ქართული გალობა ისმოდა, მაგრამ დღეს-კი...

დღევანდელი სწავლის მდგომარეობა სვანეთში სულთმობრძავს, მომაკვდავს ჰგავს. მიზეზი ამისა არის ახალი „წესი“ სამრევლო საეკკლესიო სკოლებისა. მან გამოაცალა უმთავრესი საფუძველი სვანეთის სკოლებს—ხალხის თანაგრძნობა. ქართული ენა მოსპობილია სვანეთის სკოლებში. ქართულს და სვანურს შორის იმდენი ერთობა და ისეთი ნათესაობა არის, რომ ყოველი მოსწავლე სვანი ქართულის საშუალებით სულ ადვილად ითვისებდა სასწავლო საგნებს. რასაკვირველია, ამისთანა უკუღმართობა ხალხს უკან დასწევდა. ბევრისაგან გამიგონია: „წინანდელ სკოლების ნაყოფმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი გონიერ-დედობა ბევრნაირად დამოკიდებულია სწავლა-განათლებაზედაო. ახლა-კი, რაკი ქართულის სწავლება მოგვესპო, ჩვენი შვილები ვერას გახდებიან. ოთხსა და ხუთს წლიწადს მოსცდებიან და შემდეგ ისეთივე ურუნი იქნებიან, როგორც ჩვენ, მათი მშობლებიო“-ო.

ჩემის აზრით, არც უსაფუძვლოა სვანების ამგვარი გოდება. ყოველი სვანი თავისს დედა-ენად აღიარებს ქართულს. ქართულის შემწეობით სწავლის სარგებლობას ნათლად გვიხატავს ორნაირის ტიპის სკოლების არსებობა სვანეთში: სამინისტროსი და სამრევლოსი. პირველის ტიპისა ხუთი-ექვსი წლიწადია არსებობს, მაგრამ, რადგან ქართულის ენის შემწეობით არ არის სწავლა, ამიტომ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს... ამ სკოლებში კურს-დამთავრებულებმა ზეპირად თუ იციან რამე, თორემ შინაარსისა არაფერი გაეგებათ. მოსწავლეთა რიცხვიც ამ სკოლებში ძლიერ მცირეა: ზოგან ოთხი მოწაფეა, ზოგან შვიდი, თხუთმეტს-კი არ ასცდებიან.

სამრევლო სკოლები დღემდის მოწაფეებით სავსე იყო; ზოგიერთ მათგანში ადგილიც აღარ იყო ხოლმე. მეორე და მესამე განყოფილების მოწაფე გვარიანად ლაპარაკობდა ქართულს, სვანურს და ცოტაოდენი რუსულიც იცოდა. ამით ნათლად სჩანს, რომ ქართული ენა სვანებისათვის მეტი ბარგი არ ყოფილა.

ლ. დადეშქელიან-გიელან-სვანი.

ხონი. ხონი წარმოებით, ვაჭრ-მოქმედებით, სწავლა-განათლებით—ქალაქია, მაგრამ იერიდგან კი—სოფელი.

ლოო!—და ხელები გააქნია. მე არც „სემელარიაში“ ვყოფილვარ და არც შენი „ნოვირსეტი“ მინახავს, მაგრამ „ბატონოს“ ყველანი მიძახიან და პატივსაც დიდად მცემენ... მშიერი და მწყურვალი არასოდეს ვყოფილვარ... და ჩაჰყვა ასე.

ბოლოს, როცა ცოტაოდნად მოლბა, მითხრა:

—არა, ჩემო ლევან! რაც სწავლა გაქვს, იმარე და, თუ მართლა გწადია განათლება, მოისწარი შვილები და ისინი გამოზარდე, ახლა კი, როგორც მე გირჩიო, ისე მოიქეც. აგერ ჩვენი სოფრომა მღვდლის ქალიშვილი დანიშნე. ქალიც კარგია და მზითევსაც კარგს მოგცემს. ორი წლის შემდეგ მრევლსაც დაგითმობს, რადგანაც მერე „ატსტავკა“ შეაქვს. შენ-კი ამ ორ წელიწადში მასწავლებლად დარჩი მისვე სკოლაში, მთავრობის ყურადღება დაიმსახურე და მერე კი ეკურთხე.

მამაჩემის სიტყვებმა ჩემი ყურადღება მიიპყრო; მართალია, თუმცა პირველი ნახევარი მისის სიტყვებისა არაფრად მეჭაშნიკა, მაგრამ მეორე ნახევარი-კი გულზე მალამოსავით მომეცხო.

საქმე ის იყო, რომ ეგ სოფრომ მღვდლის ქალიშვილი მართლა და კარგი ქალი იყო: სწავლა დამთავრებული ჰქონდა საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელში, სადაც ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი და მეცადინე ქალი.

ქალს ძლიერ დაახლოვებით ვიცნობდი. შაბათ დღეს ხშირად გავიპარებოდი ხოლმე ეკკლესიიდგან მუცლის ან თავის ტკივილის მომიზეზებით, რომ საღამოს, ლოცვის შემდეგ, სახლამდი მიმეცილებინა.

აქ ლევანი ცოტად შეჩერდა, „ტუჟურკის“ ფოლაქები შეიხსნა, ერთიც ამოიოხრა და ისევ განაგრძო:

—ოჰ! იცი, რა იყო ეს საღამოები ჩვენთვის?!—გამოუთქმელ ნეტარების წამები იყო!. ის სიტკბოება და სიხარული შეიძლება მხოლოდ იგრძნო და არა აღწერო.

ერთმანეთს ძლიერ ხშირად ვნახავდით ხოლმე. ხშირმა ნახვამ და მუსაიფმა-კი თავისი ჰქნა. ძლიერ დავუახლოვდით ერთმანეთს, ასე რომ ბოლოს, დათხოვის წინად, ერთ შაბათ დღეს, სიყვარულიც-კი გამოვუცხადე.

ჩემს წინადადებაზე არც იმას უთქვამს უარი.

ჩემი სურვილი სწავლის შესახებ ქალმა უკვე იცოდა, მაგრამ იმ დღეს კიდევ გავახსენე და თანაც, რაც შემეძლო, მჭერ მეტყველურად ავუხსენი განათლების მნიშვნელობა ადამიანისათვის.

ჩემმა ლაპარაკმა აღტაცებაში მოიყვანა.

როცა ლაპარაკი დავამთავრე, მითხრა:

—წასვლას არ დაგიშლი, ჩემო ციცერონო, მაგრამ რა ვქნა, რომ უშენოთ ვერ გავსძლებ?!. მერწმუნე, ლევან, უშენობა ძლიერ გამიჭირდება, მაგრამ, როგორც იქნება მოვითმენ, ოღონდ შესრულდეს შენი სურვილი!..

აღტაცებულმა მისის სიტყვებით, შემოვხვიე მკლავები და ვუთხარი:

—მშვენიერო ნინო! უმალ მტკვარი აღმა მობრუნდება და მთა-წმინდა დაიძვრის თავის ადგილიდან, ვიდრე მე შენ დაგივიწყებ, ჩემო სათაყვანებელო—და ჩვენი მთრთოლვარე ბაგენი ერთმანერთს შევაწებეთ, ნიშნად დაურღვეველის და გულწრფელის მეგობრობისა.

მეორე დღეს, კვირას, ნინო წავიდა სოფელში, მე-კი ტფილისში დავრჩი მოწმობის ასაღებად. როგორც-კი ავიღე პირველის ხარისხის მოწმობა, შევკარ ჩემი ბარგი-ბარხანა და გავსწიე შინისკენ.

მეორე დღეს სახლში ვიყავ გახარებული. მიხაროდა ერთი, რომ პირველის ხარისხით გავათავე სემინარია, მეორე რომ ჩემს ნინოს მახლობლად ვიქნებოდი და მესამედ მახარებდა რუსეთისკენ გამგზავრება.

როცა მამაჩემი შემეკითხა: „რას იტყვი იმისას, რასაც გელაპარაკებიო“, მე უარი არ მითქვამს და ვუთხარი: „მაგ ქალის შერთვაზე უარს ვერ გეტყვი, მაგრამ წელს უსათუოდ რუსეთისკენ უნდა წავიდე-მეთქი“.

—ეგ რას ნიშნავსო,—მითხრა ცოტა გაჯავრებით მამაჩემმა.

—ეგ იმას ნიშნავს, რომ სწავლის სურვილი მაქვს და ეს ჩემი სურვილი კიდეც უნდა შევასრულო მეთქი.

მამაჩემს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა ჩემი სიტყვები, მაგრამ მე ჩემი არ დავიშალე.

გერასიმე ხაჟომია.

(შემდეგი იქნება)

ხონში მისვლა-მოსვლა ძლიერ განვითარებულია: ქუთაისში ყოველ დღე დადის 8 ომნიბუსი, სამტრედიაში—6, ნაოდალევში—1 და ხიდის თავში—1. ქუთაისში მიმავალ გზას, როგორც საფოსტოს, ხაზინა აკეთებს; სამტრედიის და ღელისუბნის გზების კეთება და რემონტი დავალებული აქვს სოფლის მმართველობას; ამ მმართველობას-კი ყოველი კომლისთვის დაუვალებია გაკეთოს გზა თავის ეზოს წინ. კარგია, რომ ამას ასრულებდეს ყველა განურჩევლად წოდებისა და რომ ყველა გზებს ერთნაირი კეთება სჭირდებოდეს. როგორც ვსთქვით, ამ ორ გზას, რადგანაც მათზედ მეტი მისვლა-მოსვლაა, მეტი რემონტი აჭირდება. სხვა გზებზედ და გარდასახვევებზედ ამდენი მიმოსვლა არაა და, მაშასადამე, არც აგრე ჩქარა ფუჭდება. აგრეც რომ არ იყოს, ჩვენებურად გზის კეთება არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; ამნაირად გაკეთებულს გზაზედ, მოვა თუ არა პატარა წვიმა, ადგება გაუვალი ტალახი. უმჯობესია, ეს ორი გზა იჯარით გაიცემოდეს და ამის ხარჯში მიიღებდეს მონაწილეობას მთელი საზოგადოება, განურჩევლად წოდებისა და ომნიბუსების მეპატრონეებიც ცალკე გამოიღებდნენ წვლილს

ხონისთვის საჭიროებას შეადგენს ვაჟების პროგიმნაზია. ამაზედ აქა-იქ კითხვაც იქმნა აძრული; ყველას დიდი სურვილი აქვს. არის რამდენიმე აზრი ამ საქმეზედ და, ჩემის ფიქრით, ყველას სჯობია ეს: საზოგადოებას აქვს თავისუფალი ადგილი მაცხოვრის ეკკლესიასთან (ბაზრიდგან ნახევარი ვერსი იქნება). აქ უნდა იქმნას გადმოტანილი მარიამის ოთხ-კლასიანი ქალების სასწავლებელი, რომელიც ეხლა, შედარებით, ცუდს ადგილზეა: მის წინ მოთავსებულია სამოქალაქო სკოლა და გვერდში—ორ-კლასიანი ვაჟების სასწავლებელი. ყველა ეს სკოლები ძალიან მჭიდროდ არიან ერთი-მეორეზედ. ქალების სკოლის გადმოტანის შემდეგ, მისს ადგილას დაარსდება ვაჟების პროგიმნაზია, რა თქმა უნდა, მთავრობის დახმარებით. ვაჟების სკოლებს შუა—ისევ ვაჟების სკოლა დარჩება.

პარასკევს, 3 იანვარს, შესდგა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წლიური კრება. განსახილველი საგნები იყო: 1, გასული წლების ანგარიშის დამტკიცება, 2—კომიტეტის ამორჩევა და 3, ამორჩევა კომისიისა, რომელსაც დაევალა ბიბლიოთეკის გამგისა და კომიტეტის წევრებისთვის ინსტრუქციის შედგენა. კომისიის შემუშავებული ინსტრუქცია სავალდებულო იქნება გამგისა და კომიტეტის წევრებისთვის.

ინი.

თეატრი და ხელოვნება

ის დრო, როდესაც ხალხს ეძინა და ყოველს სასარგებლო დაწესებულებას და, რასაკვირველია, თეატრსაც ეჭვის თვალით უცქეროდა, გაჰქრა, წავიდა. ხალხმა შეიგნო თეატრის აღმზრდელი მნიშვნელობა...

მეტი თვით-ცნობიერება, მეტი შეგნება თვისის ადამიანობისა, რომელიც ამ ჟამად შეზღუდულია, მეტის წინააღმდეგობის გამოწვევა ხალხისაგან მჩაგვრელთადმი,—აი რას ემსახურება და პირნათლად ასრულებს თეატრი, რომლის საჭიროება ჩვენში ბოლოს ხანს ძალიან გაძლიერდა, მაგრამ დაკმაყოფილება-კი ნაკლებია. ერთნი ვერ დადიან თეატრში სიშორისა გამო, მეორენი უფულობის მიზეზით, მესამენი-კი იმიტომ, რომ თეატრი არა აქვთ. სასიამოვნოა ჩვენთვის, როცა აქეთ იქიდგან გვესმის, ამ და ამ ადგილას თეატრი დაუარსებიათ, ე. ი. ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შესდგომიანო.

ამიტომ არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო, რომ წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის სტამბაში ასოთამწყობთაგან შემდგარ სცენის მოყვარულთ შინაური წარმოდგენების მართვა დაიწყეს, რომელზედაც ესწრებიან ასოთ-ამწყობნი, სტამბის სხვა მოხელენი და მათნი ნათესავნი... ამ სტამბაში 6 იანვარს ასოთ-ამწყობთ მეორე წარმოდგენა გაუმართავთ. ქართულად წარმოუდგენიათ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ა—ნა.

ნარკვევი

„Новое Обозрѣніе“-ს ორს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია მეთაურის ადგილას წერილი ბ-ნ ომისა, რომელსაც საგნად აქვს შავი-ქვის მრეწველობის მდგომარეობა ჭიათურაში. წერილის ავტორი განათლებული და ცნობილი რუსი ლიტერატორია, არც ერთს ჩვენებურს პარტიას არ ეკუთვნის, კაი ხანია სცხოვრობს ქუთაისში, იქაური გარემოება კარგად აქვს შეთვისებული, ქართველი ერის სიკეთე წრფელის გულით სურს, და ამიტომ მას სიტყვა სავსებით დაეჯერება.

ბ-ნ ომის აზრით, ახლანდელი გამგეობა შავი-ქვის მრეწველობისა ერთგულად ემსახურება საქმის ინტერესებს. მას აქვსო შედგენილი მთელი გეგმა ყოველ გვარის გაუკეთესობისა ამ სფეროში; მეტადრე დიდს ყურადღებას აქცევსო მუშათა მდგომარეობის გაუკეთესებას. ზოგი განზრახული გაუკეთესობა უკვე სისრულეში მოიყვანა, რის გაკეთებაც-კი მოკლე ხნის განმავლობაში შესაძლებელი იყო, ზოგი დაწყებული აქვსო და ზოგის შესახებაც უკვე აღუძრავს მთავრობის წინაშე შუამდგომლობაო. ის აგიტაცია, რომელიც ეხლა გაჩაღებულია ახლანდელის გამგეობის წინააღმდეგ, გამოწვეულია პირადი ინტერესებით, პირადი ანგარიშებითო, და მას ადვილად შეუძლიან ამომრჩევლები დააბრმაოს და მომავალის გამგეობის თავში წამოსკუპოს ის ყოფილი გმირიო, სათავად-აზნაურო ბანკისა ქუთაისში, რომლის წყალობითაც ეს ბანკი ჩამოერთვა საზოგადოებას და გადავიდა ძლიერი ბიუროკრატიის ხელშიო. შავი-ქვის საქმესაც ეს აუცილებლად დაჰმართებს იმასვე, რაც უკვე დაჰმართა უბედურს ქუთათურს ბანკსაო, და მეორე საზოგადო საქმესაც ბიუროკრატიას ჩაუგდებს ხელშიო.

ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ეს წინასწარმეტყველება გამართლებულიყოს, და ყოვლად უკუღმართი კალისტრატე გამეფებულიყოს ჭიათურაში. და თუ ქვეყნის საუბედუროდ, ეს აცხადდა, მაშინ ახლანდელი ოპოზიცია ჩაიდენს სწორედ მომაკვდინებელს ცოდოს, რომელსაც ქართველი საზოგადოება არას დროს არ აპატიებს...

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 იანვარი.

ტანჟერი. სულთანი და ტახტის მაძიებელი მოლაპარაკებაში არიან სხვა-და-სხვა ტომებთან, რომელნიც სცხოვრობენ ფეცის გარემოს.

დურბანი. ავად გახდა ჟამით პირველი ევროპიელი. სენის გაჩენიდგან ავად გახდა 34 კაცი, რომელთაგან 17 მოკვდა.

ვენა. შესდგა სხდომა ჩეხთა და გერმანელთ კონფერენციისა კერბერმა განაცხადა: „მთავრობის პროექტი არ უნდა ითვლებოდეს იმისთანად, რომელიც არ შეიცვლება. წინადადება მისცათ კომისიის არჩევისა უთანხმოების მოსასპობად. გერმანელთ უარჰყვეს წინადადება. კონფერენცია უშედეგო აღმოჩნდა.

პარიჟი. სენატმა მიიღო კანონთა მუხლნი სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადის შესახებ.

მადრიდი. ისპანიის დესპანმა კოლოგანმა განაცხადა, ოფიციალური ცნობა არ მიღებულა იმის შესახებ, რომ სულთანის ჯარმა მოწინააღმდეგის ჯარი დაამარცხაო.

ლონდონი. დაიწყო პროცესი პარლამენტის წევრის ლინჩისა, რომელსაც ჰბრალდება მონაწილეობის მიღება ტრანსვაალის ომში და სახელმწიფო მოღალატეობა. ლინჩმა დამნაშავედ არ სცნო თავი თვისი. გენერალ-პროკურორმა სთქვა, ლინჩი 1900 წელს წავიდა სამხრეთ-აფრიკას ფრანგთა გაზეთის მოამბედ და მერმე იარაღი შეისხა ინგლისის წინააღმდეგო.

პეტერბურგი. დამსახურებული ორდინარნი პროფესორი წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტისა ბობრეცკი დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის რექტორად.

9 იანვარი

სამარკანდი. 10 დეკემბრიდგან 8 იანვრამდის სამარკანდის ოლქის მცხოვრებთ შესწირეს ანდიჟანელებს 23,000 მანეთზედ მეტი ფულად და დიდ-ძალი ნივთი. ხალხი საჭიროებს საშენობო მასალას. დიდი თოვლი მოვიდა.

დრეზდენი. მეფე კარგად გახდა.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონში მოელიან ვენესუელის შესახებ მოლაპარაკების დაწყებას ამ დღეებში. ვენესუელის საქმეში სამივე სახელმწიფო ერთმანეთის თანხმობის მოქმედობენ.

გენერლებმა ვარაგონმა სან-სალვადორის რესპუბლიკაში. პრეზიდენტმა რეგალადომ დასტოვა სატახტო ქალაქი და გაილაშქრა მეამბოხეთა დასამობად.

კარაკასი. „Mat.“ იუწყება, რომ გენერალი რიეირა თავს დაეცა ქალაქ კოროს. ქალაქში ბრძოლა 10 წამს გაგრძელდა. ბევრი დაიჭრა. რევოლიუციონურმა ჯარმა უკან დაიწია.

პარიჟი. საპარლამენტო კომისია დიდხანს მოუნდება ფრანკთა-სიამის ხელ-შეკრულობის განხილვას.

ლოძი. მიწა იძრა. ხალხი ძლიერ შეშინებულია.

მოგებათა ტირაჟი 2 იანვარს. 1-ლ შინაგანის სესხის ტირაჟის დროს 500 მანეთიანი მოგებანი ერგო შემდეგს ბილეთებს:

№ № სერიებისა:	№ № ბილეთ
1:	10026, 668, 4724, 3388, 2657, 3713.
2:	8297, 621, 11695, 19178, 13463, 17795, 5285, 8061, 708, 13354, 9929.
3:	4745, 8719, 18070.
4:	18650, 16941, 16089, 18946, 17881, 2060, 19575, 2076.
5:	18897, 16392, 18548, 1554, 305, 17354.
6:	767, 8473.
7:	19384, 16324. 2999, 10621.
8:	7505, 15112, 13782, 7146, 19611, 5522.
9:	13146, 11384. 7487.
10:	1269, 1814, 18896. 13493, 14553, 10854, 10781.
11:	4256, 9384, 7634, 1654.
12:	19, 1638, 12376, 18255, 19776.
13:	17972, 7638, 9176, 58, 18445, 400, 1450, 15702, 7631, 794, 14747, 13807.
14.	15196, 7320, 3711, 12293.
15:	84, 5675, 5096, 3968, 17881, 19798, 9237, 15133.
16:	2052, 6731, 15785, 1305, 2069, 8191.
17:	7602, 641, 13494, 2604.
18:	8804, 7, 16149.
19:	1521, 9607, 19175, 15767.
20:	15948, 7792, 305, 10071, 19071.
21:	8938, 3460, 15899, 15376, 5319.
22:	1530, 6362, 10593, 6828, 4182.
23:	10064, 19817, 7295.
24:	17773, 8752.
25:	2737, 4246.
26:	13323, 1996, 6188.
27:	12481, 11162, 12713, 1773, 9450.
28:	8199, 13511, 14211, 9541, 12575, 14521, 17749, 6216, 3654.
29:	15690, 18029. 19293, 1638, 13090, 378, 14750.
30:	15366, 4203, 12776.
31:	3382, 15126, 17305, 11832.
32:	17976, 17162, 6392, 6910, 3992.
33:	4267, 9277, 7694, 1020, 6485, 6811, 15148, 8976, 10132.
34:	13907, 4863, 15604. 5836, 14915, 6680, 11245, 5399, 11829, 19848.
35:	7530, 11756, 19849, 2969, 100.
36:	4270, 3321, 5875, 6864, 17286, 13324.
37:	19471, 15425, 16839, 13007.
38:	16286, 3354, 9595, 15,029, 7621, 7787.
39:	1217, 6014, 13248, 14467, 8697.
40:	10500, 16439, 11203, 10329, 7730.
41:	6233, 6768, 932, 3974.
42:	10394, 14114, 19526, 9213.
43:	14174, 18932, 13071.
44:	16537, 17725, 18784, 8989.
45:	7411, 9214, 12333. 15811. 740, 18158, 18851, 13837, 10334, 12370.
46:	19887. 2552, 478.
47:	2755.
48:	12677, 6598, 2228, 3346, 18241, 14662.
49;	12558, 1125, 4782, 7752, 17650
50:	12212. 9477, 16492, 14702, 1298.

ტირაჟი გაუქმებულ სერიისა: 8846, 1712, 5507, 5810. 18447, 12572, 10342, 6352, 572, 14205, 1795, 11472, 6550, 842, 2161, 955, 7162, 12434, 2209, 6517, 9135, 1450, 11612, 4957, 11183, 16472, 20836, 6130, 4085, 18365, 10979, 14822, 2838, 3081, 11014, 5121, 8497, 16124, 9132, 17894, 10427, 7327, 4414, 19625, 8269, 18319, 18454, 4134, 995, 16653, 3030, 5184, 15726, 3819, 2962, 19158, 2657, 992, 14078, 8692, 19118, 6425, 14373, 7896, 6777, 6426, 14425, 1655, 7686, 19156, 511, 7927, 14530, 12483, 10273, 6344, 18516, 14250, 12160, 1125, 6637, 17810, 16278, 5456, 2238, 7335, 2704, 5511, 4419, 10375, 18223, 17248, 17341, 6901, 16870, 1923, 16148, 6904, 1765, 5671, 5671, 15670, 7902, 19301, 2304, 14777, 87, 14494, 19886, 9283, 12297, 14367, 3681, 729, 7271, 268, 8743, 9668, 6790, 31, 12458, 3430, 8247, 121, 17494, 5901, 11804, 17905, 4, 12534, 17991, 14922, 13523, 10161, 13887, 1090, 794, 10718, 13090, 5765, 1147, 9041, 18584, 17815, 2371, 5286, 10513. 7598, 13875, 5691, 1117, 2832, 14961, 5095, 15996, 6910, 9814, 89, 494.

პეტერბურგის ბირჟა, 3 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	$46{,}27^{1}/_{2}$
პარიჟში ,,	$37{,}67^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}\%$
4% სახელმწიფო რენტა	$97^{5}/_{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^{3}/_{4}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	$94^{1}/_{2}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$468^{3}/_{4}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	313 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$89^{3}/_{4}$ გაყ.
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$83^{1}/_{4}$ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— $89^{3}/_{4}$ წვ. გაყ.
$4^{1}/_{2}\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9700 გაყ
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	4300 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	48 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდგან** 15 **მაისამდე**.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.), 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლაბარატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ, 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ. —1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6 —1)

ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ა. როინაშვილის ფოტოგრაფიაში იყიდება

წ მ. ნ ი ნ ო ს

ახალი სურათი. ფასი 40 კაპ.

(2—მ—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა		10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა		50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბა[illegible]ნიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

условія подписки

съ доставкой и пересылкой:

а 12 мѣсяцевъ	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ	4 р. — к.
„ 11 „	6 р. 50 „	„ 5 „	3 „ 50 „
„ 10 „	6 „ — „	„ 4 „	3 „ — ,,
„ 9 „	5 „ 50 „	,, 3 ,,	2 ,, 50 ,,
„ 8 „	5 „ — „	,, 2 ,,	2 ,, — ,,
„ 7 „	4 „ 50 „	,, 1 ,,	1 ,, — ,,

За границу: па годъ 14 руб., на полгода 8 руб., ня 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородрыхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подпискб принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и загранichn. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и Ко къ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр.

(8—6)

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.